მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯორჯია მეტალის“ მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსადცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოების განახლების შესახებ

10 ივნისი, 2022

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯორჯია მეტალის“ მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსადცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის 2022 წლის 30 მაისს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების შესახებ გამოქვეყნებული განცხადების თაობაზე.

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ პროცესი არაერთი დარღვევით მიმდინარეობს ჯერ კიდევ სკოპინგის ანგარიში განხილვის ეტაპიდან და კანონის მოთხოვნების უგულებელყოფა გრძელდება დღემდე. დარღვევების შესახებ ჯერ კიდევ 2021 წლის ოქტომბერში წარდგენილი გვაქვს დეტალური ინფორმაცია (გთხოვთ, იხილოთ თანდართული) გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის. თავად გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადება კი კანონის მოთხოვნების არაერთი მოთხოვნის დარღვევის შემცველია:

1. როგორც სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია აღნიშნული, „შპს „ჯორჯია მეტალის“ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში** წარმოდგენილია განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯორჯია მეტალის“ მეტალურგიული საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას (იხ. ლინკი: https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33524). აღნიშნულ პროექტზე გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, 2022 წლის 28 მარტს N3010/01 წერილის საფუძველზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისიტრომ შეაჩერა ადმინისტრაციული წარმოება. (იხ. ლინკი: https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33892).2022 წლის 23 მაისს შპს „ჯორჯია მეტალის“ მიერ N12956 წერილის შესაბამისად **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში** წარმოდგენილ იქნა დამატებითი (დაზუსტებული) ინფორმაცია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე“.

   ანუ, განცხადების თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაწყებული და შეწყვეტილი

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
+(995 32) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

ადმინისტრაციული წარმოება გრძელდება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში. გაუგებარია, რა სამართლებრივი ნორმის საფუძველზეა შესაძლებელი ერთ ადმინისტრაციულ უწყებაში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება გაგრძელდეს სხვა, თუნდაც, იმავე დაწესებულების სსიპ-ში.

2. ასევე განცხადების თანახმად, „2022 წლის 23 მაისს შპს „ჯორჯია მეტალის“ მიერ N12956 წერილის შესაბამისად სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა **დამატებითი (დაზუსტებული) ინფორმაცია** ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე. **დამატებითი ინფორმაციის სახით წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან** დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2022 წლის 10 ივნისის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ.ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო)“.

   გაუგებარია რა სამართლებრივი ნორმა ითვალისწინებს „დამატებითი (დაზუსტებული) ინფორმაციის“ ცალკე განხილვას და შენიშვნების მიღებას. ასევე, გაუგებარია, რა ნორმაზე დაყრდნობით მოხდა, თუნდაც ამ ინფორმაციაზე შენიშვნების მიღებისათვის ვადის დადგენა.

დასკვნა

პროცესი სრულად გასულია საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩოდან და უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ.